საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/490

ქ. ბათუმი **13** ივნისი, 2022 წ.

,,ბსუ-ს "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 04 მაისის №01–08/419 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების, ამავე პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისთვის 2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს კვალიფიკაციის მინიჭებისა და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 მარტის №06-01/27 დადგენილების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანება (ცვლილებები: 12.04. 2022 წ. N01-02/84 და 13.06.2022 წ. N01-02/131 ბრძანებებით), ,,ბსუ-ს "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 04 მაისის №01–08/419 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 08 ივნისის MES 9 22 0000614577 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 04 მაისის №01–08/419 ბრძანების მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ბსუ-ს სტუდენტის **სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2022 წლის 15 ივნისისა,** ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.''

2. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და შესაბამის ინფორმაციასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში).

3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს ყველა სტუდენტის ინდივიდუალური ინფორმირება, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში შექმნილი საკომუნიკაციო ყველა საშუალების გამოყენებით (სტუდენტთა საჯარო ინფორმირება) და ადმინისტრაციული წარმოების პროცესის საბოლოო შედეგების/მონაცემებს წარმოდგენა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნისათვის.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს (თარგმნისათვის).
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**